ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 20 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 37 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 37 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დათუნა ჯობავა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრების სახელობითი სია (მასალები ოქმს თან ერთვის) და წარადგინა ახალარჩეული მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, რის შემდეგაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად სხდომის თავმჯდომარედ დაასახელა საკრებულოს უხუცესი წევრი ვლადიმერ ქანთარია და სთხოვა მას დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი და გაძღოლოდა სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე და გადასცა საარჩევნო დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ (ვ. ქანთარია) მისასალმებელი სიტყვის შემდგომ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები

დღის წესრიგი:

1. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას მოხსენება.

2. „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- სხდომის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი - ---------- დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

4. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- სხდომის თავმჯდომარე)

5. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- სხდომის თავმჯდომარე)

6. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

7. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

8. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

9. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

10. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

11. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საკრებულოს თავმჯდომარე)

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

13. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- საფინანსო-სარევიზიო
კომისიის თავმჯდომარე)

14. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- ეკონომიკური განვითარების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე)

16. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი - ---------- სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და დამატებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 37 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 37, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებისა და საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით განაცხადა, რომ აუცილებელია

შეიქმნას დროებითი სამანდატო კომისია არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით და სთხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრების მხრიდან დასახელდა ტარიელ ალექსანდრიას, გოჩა სიჭინავას და დოდო გაბუნიას კანდიდატურები

კანდიდატურების დასახელების შემდეგ კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 37 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32, წინააღმდეგი – 5 (მ. ჭოხონელიძე, ი. სერგია, ი. ნადარაია, ი. ჯიშკარიანი, თ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ დროებით სამანდატო კომისიას გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესწავლისა და უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 20 წუთით.

შესვენების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ შესწავლილ იქნა არჩევნების ჩატარების შედეგები და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

2. „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისია გაეცნო საარჩევნო კომისიის მიერ გადმოცემულ დოკუმენტაციას, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კანონმდებლობის სრული დაცვით და გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 37 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 37, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცნობილ იქნა ახალარჩეული საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება, მიულოცა თითოეულ მათგანს და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში და აღნიშნა, რომ სანამ საკრებულო შეუდგებოდეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვას მოსმენილ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განაგრძო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

3. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - სხდომის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების ფარული წესით არჩევასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შეიქმნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით და თხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრების მხრიდან დასახელდნენ დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატები: მერაბ ნადარაია, ფრიდონ შონია, მზია ლემონჯარია

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 37 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 37, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, იმისათვის, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ აირჩიოს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო პროცედურების დაცვას ცხადდება შესვენება 10 წუთით.

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის ოქმი, რომლის თანახმადაც კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია მ. ნადარაია, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ფ. შონია, ხოლო კომისიის მდივნად არჩეულია მ. ლემონჯარია და აღნიშნა, რომ საკრებულო უფლებამოსილია დაიწყოს საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვა

4. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: - ---------- სხდომის თავმჯდომარე)

სთხოვა საკრებულოს წევრებს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით წერილობით წარმოედგინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე წარმოდგენილ იქნა ერთი - ედიშერი ჯობავას კანდიდატურა (წარდგინება ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს აპარატს სთხოვა მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან ერთად უზრუნველეყო საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოცხადა შესვენება 40 წუთით.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგები და სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს (მ. ნადარაია) საკრებულოსთვის გაეცნო განკარგულების პროექტი „ე. ჯობავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“

მოისმინეს: მ. ნადარაია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 34-მა წევრმა, გაიცა 34 ბიულეტენი, ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 34 ბიულეტენი. ფარული კენჭისყრის შედეგებით ხმების უმრავლესობა - 32 ხმა მიიღო არჩევნებში მონაწილე ერთადერთმა კანდიდატმა ედიშერ ჯობავამ, წინააღმდეგი იყო - 2. გამომდინარე აქედან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა ედიშერ ჯობავა. რის შემდგომაც გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ედიშერ ჯობავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული

სხდომის თავმჯდომარემ (ვ. ქანთარია) მიულოცა ედიშერ ჯობავას საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა და სთხოვა დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარისთვის განკუთვნილი ადგილი და გაძღოლოდა საკრებულოს სხდომას.

აზრი გამოთქვეს: ე. ჯობავა - გამომსვლელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა არჩევნებში მიღწეული წარმატებები და განაცხადა, რომ მიუხედავად საკრებულოში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისა ერთად შეძლებენ მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო საქმის კეთებას. ასევე მადლობა გადაუხადა „ქარული ოცნების" გუნდს თანადგომისთვის. მისი სურვილია საკრებულოს წევრებთან ერთად აკეთოს ის საქმე, რაც ხობის მუნიციპალიტეტს წაადგება. მერის თანამდებობაზე არჩევა, მიულოცა ბატონ გოჩა ქაჯაიას და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში და სთხოვა ორიოდე სიტყვით მიემართა საკრებულოს წევრებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის.

გ. ქაჯაია - გამომსვლელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს მეორედ ახლა უკვე მერის რანგში ნდობის გამოცხადებისთვის. აღნიშნა, მისი გამგებლობის პერიოდში მუნიციპალიტეტმა მიაღწია გარკვეულ წარმატებებს ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, დარწმუნებულია მომავალშიც ერთად დგომით და ურთიერთგაგებით მიაღწევენ დასახულ მიზანს მუნიციპალიტეტის და მთლიანად ქვეყნის საკეთილდღეოდ, დასასრულს აღნიშნა, რომ ის არ არის უშუალოდ მარტო თავისი ამომრჩევლის მერი, ის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული მოქალაქის მერია და მუნიციპალიტეტში ყველას სასიკეთოდ შეძლებს კარგი საქმეების განხორციელებას.

5. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ აირჩევა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, რომლის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარემ თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა მამუკა ქარდავას კანდიდატურა და სთხოვა საკრებულოს აპარატს მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო ბიულეტენები და ხმის დამთვლელ დროებით კომისიასთან

ერთად უზრუნველეყო საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება ნახევარი საათით.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ შეაჯამა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგები და სთხოვა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს (მ. ნადარაია) საკრებულოსთვის გაეცნო განკარგულების პროექტი „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“

მოისმინეს: მ. ნადარაია - გამომსვლელმა წარმოადგინა კომისიის სხდომის ოქმი (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 34-მა წევრმა, გაიცა 34 ბიულეტენი, აქედან მამუკა ქარდავას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 31-მა საკრებულოს წევრმა, წინააღმდეგი - 2, ბათილი - 1 ბიულეტენი. არჩევნების შედეგებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა მამუკა ქარდავა, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მამუკა ქარდავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

გადაწყვეტილება ცნობად იქნა მიღებული

(განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა მამუკა ქარდავას დაეკავებინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის განკუთვნილი ადგილი

საკრებულოს ახლადარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ქარდავამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობისთვის და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა ამით წყვეტდა მუშაობას სხდომის დახურვის გარეშე და სხდომის განახლების თარიღად დაასახელა 22 ნოემბერი 10.00 სთ, სადაც გაგრძელდება დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია
11. ია ჯიშკარიანი
12. თემურ გულუა
13. მამუკა ჭოხონელიძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. კახა მიქაბერიძე
16. ნიკოლოზ ვეკუა
17. აბელი ქირია
18. გოჩა ჯობავა
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. აკაკი ხურცლავა
25. ფრიდონ შონია
26. კობა გოქაძე
27. გენადი ქამანაია
28. გიგა ნასარაია
29. ირაკლი ნადარაია
30. ავთანდილ ხუნჯუა
31. გია წულაია
32. ლაშა ცატავა
33. როლანდი სერგია
34. ვარაზ გაბედავა
35. მერაბ ნადარაია
36. ირაკლი ბერაია
37. დიტო ხასია